




# ხაშურის მთაშუა



№20

30 ოქტომბერი, პარასკევი, 2015 წელი

## ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, ვაჟა შუბითიძის ერთწლიანი მუშაობის (2014-2015 წწ) ანგარიში

28 ოქტომბერს, ამომრჩევლებს, საკრებულოს წევრებს და გამგეობის წარმომადგენლებს 2014\_2015 წლის ანგარიში ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ვაჟა შუბითიძემ ჩააბარა. შეხვედრა ხაშურის კულტურის ცენტრის მცირე დარბაზში შედგა. ბატონმა ვაჟამ თავისი ერთწლიანი მუშაობა ორ მიმართულებად დაჰყო: 1. კანონმდებლობითი საქმიანობა. 2. კულტურულ-საგანმანათლებლო და სპორტული სფეროს გამოცოცხლება. ანგარიშის დასრულების შემდეგ, საუბარი კითხვა-პასუხის რეჟიმში გაგრძელდა, სადაც საკრებულოს თავმჯდომარემ მრავალ პრობლემურ კითხვაზე უპასუხა და მათი გადაჭრის სამომავლო გზებზეც ისაუბრა. გთავაზობთ ბატონი ვაჟას წლიურ ანგარიშს:

\*\*\*

ამ ერთი წლის განმავლობაში ჩემი მუშაობა ძირითად ორ მიმართულებით წარვმართე:

I. კანონმდებლობითი საქმიანობა და ისეთი დადგენილებების და განკარგულებების მიღება, რომელიც ხელს შეუწყობს მოსახლეობის ყოფითი და სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების მოგვარებას:  
II. რაიონში კულტურულ საგანმანათლებლო და სპორტული საქმიანობის გამოცოცხლება და ახალი რეალობის შექმნა. მუშაობის დაწყებამ მოგვიწია არაორდინალურ ვითარებაში – ხაშურსა



და სურამში 2011 წელს წყალდიდობისაგან დაზარალებული მოსახლეობისათვის კომპენსაციის გაცემამ, რამაც მთლიანობაში 1,5 მილიონი ლარი შეადგინა. ამას დაერთო ქვიშხეთში 2014 წლის 13 აგვისტოს მომხდარი წყალდიდობა, რომლის დროს სახელმწიფომ 1 მილიონ 182 ათასი ლარი გამოჰყო, ხოლო დაზარალებულების საკომპენსაციოდ 104 ათასი ლარი რაიონის ბიუჯეტიდან იქნა გაღებული. სტიქიის ლიკვიდაციაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს საკრებულოს წევრებმა, პირადად მეც ფიზიკურად და მორალურად მათ გვერდში ვიდექი.

საანგარიშო პერიოდში ჩატარდა საკრებულოს 13 გეგმიური და 29 რიგგარეშე სხდომა, რომლებზეც მიღებული იქნა 109 დადგენილება და 252 განკარგულება, პერიოდულად გამოიცემოდა საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანებებიც.

თავიდანვე დავიწყეთ საკრებულოს და მისი კომისიების კვარტალური სამუშაო გეგმების შემუშავება, რომლებიც გადიოდა საკრებულოს სხდომებზე. დავესწარი რამდენიმე კომისიის სხდომას, რომლებზეც განიხილებოდა ჩვენი რაიონისათვის მნიშვნელოვანი პრობლემები.

საკრებულოს წევრებმა, კომისიებმა და პირადად მე აქტიური მონაწილეობა მივიღეთ 2015 წლის რაიონული ბიუჯეტის განხილვაში და ცვლილებების შეტანაში, პრიორიტეტული ინფრასტრუქტურული პროექტების და სოფლების პროგრამების შემუშავებაში, ხდებოდა მათი განხორციელების კონტროლი და ნაკლოვანებების მონიტორინგი, მათი აღმოფხვრა.

გამგებელთან ერთად, სისტემატურად ვმონაწილეობდი ქ. გორში გამართულ სამხარეო საკონსულტაციო საბჭოს სხდომებში, რომლებსაც ხელმძღვანელობდა გუბერნატორი ზურაბ რუსიშვილი.

საანგარიშო პერიოდში სშირად ვხვდებოდი ხაშურისა და სურამის, რაიონის სხვადასხვა სოფლის მოსახლეობას და ვისმენდი მათ პრობლემებს, რომლებსაც ვაყენებდი გადასაწყვეტად გამგებელთან და გამგეობის სამსახურებთან. პრობლემების უმეტესობა დადებითად იქნა გადაწყვეტილი.

2015 წლის დასაწყისში სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ირინა გელაშვილთან ერთად, მოვინახულე უმწვეოთა უფასო სასადილო, დავათვალიერეთ შენობა და შევამოწმეთ სანიტარული ნორმები და კვების რაციონი, შევხვდით ბენეფიციარებს.

(გვგრძელება II გვერდზე)

## დეპუტატები ხვდებიან ამომრჩევლებს

### ომარ კაპანაძე

22 ოქტომბერს, საკრებულოს სხდომათა დარბაზში, მორიგ ანგარიშს დაეთმო. ამჯერად ამომრჩევლებს შეხვდა საკრებულოს წევრი, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ომარ კაპანაძე. მან ისაუბრა როგორც საკრებულოს წევრის საქმიანობის, ასევე კომისიისა და ფრაქცია „ქართულ ოცნებაში“ გაწეული ერთწლიანი მუშაობის შესახებ. დეპუტატმა ისაუბრა საკრებულოს წევრის აქტიურობითა და აღმასრულებელი ორგანოს ჩარევით გადაჭრილ მოსახლეობის მხრიდან წამოჭრილ არაერთ პრობლემაზე. ხაზი გაუსვა ხარვეზებს, თუმცა აღნიშნა, რომ ერთწლიანი სამუშაო გამოცდილება სამომავლოდ სადეპუტატო საქმიანობის ეფექტურად წარმართვის საშუალებას მისცემს. კოლეგებმა დადებითად შეაფასეს ომარ კაპანაძის საქმიანობა. დასასრულს, ამომრჩევლებმა დასვეს შეკითხვები მათთვის საჭირობოროტო საკითხებზე.



### ღაშა მესხი

26 ოქტომბერს, ხაშურის საჯარო ბიბლიოთეკაში მინიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „რესპუბლიკელების“ წევრი ღაშა მესხი მოხსენებით წარსდგა ამომრჩევლის წინაშე. საუბარი სამ ძირითად საკითხს შეეხო: საჯარო ინფორმაციის გამოქვეყნებას, ხელმისაწვდომობას, მოქალაქეების აქტიურ ჩართვას თვითმმართველობაში. ასევე საკურორტო ადგილების მოვლა-პატრონობის წესს. დეპუტატმა ხაზი გაუსვა სურამის, ქვიშხეთის, ბუღბუღისციხის და ქაშუეთის კულტურულ მნიშვნელობას და ბოლოს, საკვირაო სკოლის ფუნქციონირებას ხაშურში. ღაშა მესხის თქმით, ეს ხელს შეუწყობს მოსწავლეების ცოდნის გაღრმავებას სამოქალაქო კუთხით. საუბარი კითხვა-პასუხის რეჟიმში გაგრძელდა, საკრებულოს წევრმა მოსახლეობის პრობლემები მოისმინა და დახმარება აღუთქვა.



### მიხეილ ჯანაშვილი

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები ამომრჩევლებსადმი ანგარიშის ჩაბარებას განაგრძობენ. საკრებულოს წევრის მიხეილ ჯანაშვილის ანგარიშის მოსმენას ხაშურელი ამომრჩეველი, კოლეგები და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები ესწრებოდნენ. გამომსვლელი შეეხო გასული ერთი წლის განმავლობაში მის მიერ მხარდაჭერილ და განხორციელებულ მნიშვნელოვან პროექტებს, მათ შორის უარის თქმას პრემიებზე და უფლებამოსილების ხარჯების შემცირებას, რომელმაც ადგილობრივ ხელისუფლებას საბიუჯეტო სახსრების დაზოგვისა და რამდენიმე ქუჩის რეაბილიტაციის საშუალება მისცა. იყო გაწეული საქმიანობის მიმართ თვითკრიტიკული შეფასებებიც და ამომწურავი და საქმიანი განმარტებები ამომრჩეველთა მხრიდან გამოთქმულ საკითხებზე.








მნიშვნელოვანი აღმოჩენა  
(ნაშრომი იბეჭდება მცირე შემოკლებით)  
**1180-1210-იანი წლების უცნობი სვანთ-  
მუნებლო წარწერა სურამის გვერდისუბ-  
ნის ღმრთაეზის ეკლესიიდან ქართლის  
ერისთავების ბეგა I და რაფი  
II სურამელების მოხსენიებით**  
თემო ჯოჯუა, თამაზ გოგორაძე

2011 წელს, ისტორიკოსმა გონა საითიძემ წინამდებარე ნაშრომის ავტორებს გადმოგვცა დაბა სურამის გვერდისუბნის ღმრთაეზის (იგივე, სამების) ეკლესიის ეზოში დადებულ დიდი ზომის არქიტრავის ქვაზე ამოკვეთილი ვრცელი ქართული ასომთავრული ლაპიდარული წარწერის ფოტო, რომელიც მან 2009 წელს გადაიღო. მკვლევრის ვარაუდით, წარწერა სამეცნიერო წრეებისათვის უცნობი უნდა ყოფილიყო. წარწერის ტექსტის ძირითადი ნაწილი ფოტოს დახმარებით მალევე წავიკითხეთ. აღმოჩნდა, რომ წარწერა საქართველოს ისტორიისათვის უძვირფასეს ცნობებს შეიცავდა და ქართული ისტორიოგრაფიისათვის მართლაც სრულიად უცნობი იყო. ამის შემდეგ, 2012 წლის 1 ნოემბერსა და 6 ნოემბერს, აგრეთვე, 2015 წლის 10 მარტს გვერდისუბანში სამი ექსპედიცია მოვაწვეეთ, რომელთა ფარგლებშიც სრული სახით წავიკითხეთ წარწერის ტექსტი, შევადგინეთ მისი დეტალური ტექნიკური აღწერილობა, დავაშადაეთ წარწერის პალეოგრაფიული პირი და გადავიღეთ მაღალი გარჩევადობის ფოტოები. კვლევის ბოლო ეტაპზე, 2012 წლის მიწურულს, 2013-2014 წლებსა და 2015 წლის დასაწყისში, წარწერა ისტორიულ-წარათმცოდნეობითი კუთხით შევისწავლეთ. წინამდებარე ნაშრომი სწორედ ამ ხანგრძლივი კვლევა-ძიების ძირითადი შედეგების სამეცნიერო საზოგადოებისათვის გაცნობას ისახავს მიზნად.

I. გვერდისუბნის წარწერის პუბლიკაცია არქიტრავის ქვა, რომელზეც გვერდისუბნის წარწერაა ამოკვეთილი,  
დიდი ხნის განმავლობაში ღმრთაეზის ეკლესიის ჩრდილოეთი კედლის საფასადო წყობაში, კედლის აღმოსავლეთი მონაკვეთის ქვედა ნაწილში თავდაყირა იყო ჩადგმული და ბათქაშის სქელი ფენა ფარავდა. ეკლესიის წინამ-

საკუთარი სახელების - „რ(ა)ტი“-სა და „ბ(ე)გ(ა)დ“-ს წინაგ. ტექსტის ყველაზე მაღალი და ყველაზე დაბალი ასო-ნიშნების ზომებია: ს (I სტრიქონის I გრაფემა) – 6.5 სმ და ე (IV სტრიქონის ბოლო გრაფემა) – 2 სმ. გრაფემათა კვეთის



„† ს(ა)ხ(ე)ლითა ღ(მრ)თის(ა)თ[ა], [მ(ა)მი]სა, ძისა და ს(უ)ლი[სა ნ(მი)დ(ი) ს(ა)თა, ნ(მი)დ(ი)სა ღ(მრ)თ(ი)სმშ(ო)ბ(ე)ლის(ა)თა დ[ა ნ(მი)დ(ი)სა ავ(ო)ვ(ა)ნე ნ[ათ]ლ(ი)სმ[ც]ვ(ე)მ[ე]ლ(ი)ს(ა)თ[ა] <ა>, ყ(ოვე)ლთ[ა ნ(მი)და]თა მ(ი)სთ[ა]თა, მე, † რ(ა)ტი ერ(ი)სთ(ა)ვმ(ა)ნ, ძემ[ა]ნ † ბ(ე)გ(ა)დ | ერ(ი)სთ(ა)ვ(ი)ს(ა) მ(ა)ნ, ავ(ა)შენე ნ(მი)და]დ ესე ეკლეს(ი)აჲ ს(ა)ლ(ო)ცველ[ა]დ ს(უ)ლ(ი)სა ჩ(ე)მისა და ს(ა)ლხინებულ[ა]დ ც(ო)დვ[ა]თა ჩ(ე)მთა. შ(ე)მდგ(ო)მითი შ(ე)მდგ(ო)მად მ(ო)გუ[ი]ვ(ე)ნებდ(ე)თ და ლ(ო)ცვ(ა)თა თქ(უ)ენთა, გ(ვე)ლია, მდ(ე)ლო, [---]ა[---]ო[---]“.

მაქსიმალური სიღრმე 0.3-0.4 სმ-ია. წარწერაში ქარაგმად სწორი განივი ხაზია გამოყენებული. განკვეთილობის ნიშნებად თითქმის ყოველი სიტყვის შემდეგ დასმული წერტილი ან ორწერტილია ნახმარი. ტექსტში ბევრა ი, რიგ შემთხვევებში, გრაფემა მ-ს საშუალებით არის გადმოცემული. წარწერის მთელი რიგი გრაფემები, არქიტრავის ქვის ზედაპირის დაზიანების გამო, მთლიანად ან ნაწილობრივ დაკარგულია. ეს გრაფემები მათი შემორჩენილი ფრაგმენტებისა და კონტექსტის მიხედვით გვაქვს აღდგენილი. წარწერის ბოლო ფრაგმენტის აღდგენა, ტექსტის დიდი ნაწილის დაკარგვის გამო, ვეღარ ხერხდება.

1. † ს“ხლითა: ღ“თისთ[-] [---]სა ძისა. და ს“ლი
2. სა: წ“დსთა: წ“დსა ღთსმშ“ბლისთა: დ
3. ა: წ“დსა: ავენე ნ[-]ლსმ[-]მლსთა: ყლთ
4. ა: წ“ა: მსთთა მე † რ“ტი. ერ“სთემნ ძემნ † ბ“გა
5. ერსთ“ვსმნ. ავშენე: წ“ა: ესე ეკლესაჲ სლცველ[-]
6. დ. ს“ლსა. ჩმისა: და სლხინებულ დვ[-]
7. თა. ჩმთა. შმდგმითი შმდგმად: მგუ[-]
8. კს“ნებდთ: და ლცვთა. თქნთა.

როგორც ვხედავთ, გვერდისუბნის წარწერა, შინაარსის მიხედვით, საადმშენებლო ხასიათისაა. მის ტექსტში, აზრობრივი თვალსაზრისით, სამი ძირითადი ნაწილი გამოიყოფა. აქედან, I, შესავალი ნაწილი საღმრთისმეტყველო ხასიათისაა. მას წარწერის I-III სტრიქონები და IV სტრიქონის მარცხენა ნახევარი უჭირავს. ტექსტის ამ ნაწილში ყოველადწმიდა სამება, ყოველადწმიდა ღმრთისმშობელი, წმ. იოანე ნათლისმცემელი და უფლის „ყოველნი წმიდანი“ არიან მოხსენიებულნი: „† სახელითა ღმრთისათა, მამისა, ძისა და სულისა წმიდისათა, წმიდისა ღმრთისმშობელისათა და წმიდისა ავოვანე ნათლისმცემელისათა, ყოველთა წმიდათა მისთათა“.

წარწერის II ნაწილი საადმშენებლო ხასიათისაა. მას IV სტრიქონის მარჯვენა ნახევარი, V-VI სტრიქონები და VII სტრიქონის დასაწყისი უკავია. ტექსტის ამ ნაწილში წარწერის შემდგენელი, ერისთავი რატი, ძე ერისთავი ბეგასი, პირველ პირში მოვითხრობს, რომ მან ის ეკლესია, რომელსაც წარწერა ეკუთვნოდა, თავისი „სულის სალოცველად“ და „ცოდვათა სალხინებულად“ აღაშენა: „მე, † რატი ერისთავმან, ძემან † ბეგად ერისთავისამან, ავაშენე წმიდაჲ ესე ეკლესიაჲ სალოცველად სულისა ჩემისა და სალხინებულად ცოდვათა ჩემთა“.

წარწერის III, ბოლონაკლები ნაწილი სავედრებელი ხასიათისაა. მას თავის დროზე VII სტრიქონის უმეტესი ნაწილი, VIII-IX სტრიქონები და როგორც ჩანს, მომდევნო, დღეისათვის დაკარგული სტრიქონი თუ სტრიქონები ეჭირა. ტექსტის ამ ნაწილში წარწერის შემდგენელი ერისთავი რატი წარწერის აღმოკეთხველებსა და, სავარაუდოდ, მის მიერ აგებულ ეკლესიაში მოღვაწე მღვდელმსახურებს მიმართავს და მათ „შემდგომითი შემდგომად“ მოხსენიებასა და ლოცვას ევედრება: „შემდგომითი შემდგომად მოგუივსენებდეთ და ლოცვათა თქვენთა, გველია, მდდელი, [---]ა[---]ო[---]“.

II. გვერდისუბნის წარწერაში მოხსენიებული ერისთავების ბეგასა და რატის საგვარეულო კუთვნილება და იდენტიფიკაცია

1. გვერდისუბნის წარწერაში მოხსენიებული ერისთავების ბეგასა და რატის საგვარეულო კუთვნილება გვერდისუბნის წარწერაში განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ის ფაქტი, რომ მის ტექსტში ორი ისტორიული პირი – ერისთავი ბეგა და მისი ვაჟი, ერისთავი რატი არიან მოხსენიებულნი.

შუა საუკუნეების ქართულ არისტოკრატიულ საგვარეულოებში გავრცელებულ მამაკაცის სახელებზე დაკვირვება აჩვენებს, რომ ანთროპონიმების წვეილი – „ბეგა“ და „რატი“ მხოლოდ სურამელთა ფეოდალურ სახელში იყო დამკვიდრებული. შესაბამისად, ვფიქრობთ, არ შეეცდებით, თუკი დავასკვნით, რომ გვერდისუბნის წარწერაში მოხსენიებული ერისთავები ბეგა და რატი სურამელთა საგვარეულოს წარმომადგენლები იყვნენ.

აღნიშნული დასკვნის მართებულობას მთლიანად ადასტურებს გვერდისუბნის წარწერის მიკვლევის ადგილიც. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ ზემოთ, რომ გვერდისუბანი დაბა სურამის ერთ-ერთ უბანს წარმოადგენს, თავად სურამი კი, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოს ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ციხე-ქალაქად ითვლებოდა, ქართულ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებული

(დასასრული V გვერდზე)



ღვრის, მამა ზურაბ კიკაძის ცნობით, 2002-2004 წლებში, ტაძარში მიმდინარე სარეკონსტრუქციო სამუშაოების დროს, ეკლესიის ჩრდილოეთი კედლის ფასადის ქვედა ნაწილს ბათქაშში მოხსნეს და არქიტრავის ქვა, მასზე ამოკვეთილ წარწერასთან ერთად, სრულად გამოიწმინდა. მოგვიანებით წარწერიანი ქვა ტაძრის საფასადო წყობიდან მიიმე ტექნიკის დახმარებით გამოიღეს და იქვე, ეკლესიის ჩრდილოეთ კედელთან პირადად დადეს. არქიტრავის ქვა დღესაც ტაძრის ეზოში, ღია ცის ქვეშ დევს, რის გამოც მის ზევით აბრუნებულ წახნაგზე ამოკვეთილი წარწერა, წვიმისა და თოვლის ზემოქმედების შედეგად, თანდათანობით ზიანდება. ჩვენი აზრით, აუცილებელია, რომ არქიტრავის წარწერიანი ქვა, მისი გადარჩენისა და დაცვის მიზნით, თბილისისა თუ ხაშურის რომელიმე მუზეუმში იქნეს გადატანილი, რადგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს უნიკალური ისტორიული ძეგლი, დროთა განმავლობაში, საერთოდ განადგურდება. მოვიტანთ გვერდისუბნის წარწერის ტექნიკურ აღწერილობას, მისი ტექსტის გადმონაწერს დედნის შრიფტის დაცვით და წარწერის ჩვენეულ წაკითხვას, აგრეთვე, ტექსტის პალეოგრაფიულ პირს. წარწერა ამოკვეთილია რუხი ფერის მასიური არქიტრავის ქვაზე, რომელიც, სავარაუდოდ, ეკლესიაში შესავლელი კარის თავზე იყო დადებული. არქიტრავის ქვის ზომებია: სიგრძე – 350 სმ, წინა ანუ საფასადო წახნაგის სიმაღლე – 77 სმ, ზედა წახნაგის სიგანე – 36 სმ, ხოლო ქვედა წახნაგის სიგანე – 58 სმ. წარწერა არქიტრავის ქვის საფასადო წახნაგის, დაახლოებით, შუა ნაწილშია ამოკვეთილი. წარწერის შემორჩენილი ნაწილის საერთო ფართობი 117 X 55 სმ-ია. ტექსტისათვის განკუთვნილი ოთხკუთხა მოხაზულობის მქონე არე, წახნაგის ზედაპირის დონესთან შედარებით, 0.2-0.3 სმ-ით არის დადაბლებული. წარწერის შემორჩენილი ნაწილი ცხრა სტრიქონს შეიცავს. ტექსტი ასომთავრული დამწერლობით არის გადმოცემული. წარწერის წინ დიდი ზომის ჯვარია დასმულია. თითო ჯვარია დასმული IV სტრიქონზე წარმოდგენილი

(დასასრული)

მოსახრების თანახმად XII-XIV საუკუნეებში სწორედ სურამელთა ფეოდალური სახლის საგვარეულო მამული იყო. ამრიგად, ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, დგინდება, რომ გვერდისუბნის წარწერაში მოხსენიებული ერისთავი ბეგა და ერისთავი რატი სურამელთა ფეოდალური სახლის წარმომადგენლები იყვნენ.

**გვერდისუბნის წარწერაში მოხსენიებული ერისთავების ბეგა და რატი სურამელების იდენტიფიკაცია**

2. გვერდისუბნის წარწერაში მოხსენიებული ერისთავების ბეგა და რატი სურამელების იდენტიფიკაცია

ჩვენამდე მოღწეულ წერილობით ძეგლებში სურამელთა ფეოდალური სახლის ათამდე წარმომადგენელია მოხსენიებული. მათ შორის სახელების – „ბეგასა“ და „რატის“ მატარებელი მამა-შვილის წყვილი სულ ორჯერ გვხვდება. ესენი არიან: 1. XII საუკუნის შუახანებსა და II ნახევარში მოღვაწე ბეგა I და მისი ვაჟი, XII საუკუნის II ნახევარში მოღვაწე ქართლის ერისთავი რატი სურამელი; და 2. XIII საუკუნის შუახანებსა და II ნახევარში მოღვაწე ქართლის ერისთავი ბეგა II და მისი ვაჟი, XIII საუკუნის II ნახევარსა და XIV საუკუნის დასაწყისში მოღვაწე რატი სურამელი. შესაბამისად, სრულებით ცხადია ისიც, რომ გვერდისუბნის წარწერაში ან ბეგა I-ისა და ქართლის ერისთავ რატი სურამელის წყვილი, ან კიდევ, ქართლის ერისთავ ბეგა II-ისა და მისი ვაჟის, რატი სურამელის წყვილი უნდა იყოს მოხსენიებული.

იმისათვის, რათა გაგვერკვია, დასახელებული ორი წყვილიდან გვერდისუბნის წარწერაში კონკრეტულად რომელია მოხსენიებული, პირველ რიგში, მათ სამოხელეო თანამდებობებზე დაკვირვება ვცადეთ. თუმცა, ამ მიმართულებით ძიება უშედეგო აღმოჩნდა: გვერდისუბნის წარწერაში დასახელებული ორივე პირი, როგორც ბეგა, ისე რატი, ერისთავის ანუ შუა საუკუნეების ქართული სახელმწიფოს უმაღლესი „საქვეყნოდ გამრიგე“ მოხელის წოდებით არის მოხსენიებული, ეს მონაცემი კი ზედმიწევნით ზუსტად არც პირველ და არც მეორე წყვილს არ მიესადაგება, რადგან აქამდე ცნობილ წერილობით წყაროებში ერისთავებად მხოლოდ პირველი წყვილის რატი სურამელი და მეორე წყვილის ბეგა II არიან მოხსენიებულნი.

რაც შეეხება პირველი წყვილის ბეგა I-სა და მეორე წყვილის რატი სურამელს, მათი ერისთავობის ფაქტი ჩვენამდე მოღწეულ წერილობით ძეგლებში აქამდე დადასტურებული არ ყოფილა. მაშასადამე, ირკვევა, რომ გვერდისუბნის წარწერაში მოხსენიებული ერისთავი ბეგა და ერისთავი რატი, მხოლოდ მათი სამოხელეო წოდებების მიხედვით, თანაბარი წარმატებით შეგვიძლია გავაიგიოთ, როგორც XII საუკუნესა და XIII საუკუნის დასაწყისში მოღვაწე ბეგა I-სა და ქართლის ერისთავ რატი სურამელთან, ისე XIII საუკუნესა და XIV საუკუნის დასაწყისში მოღვაწე ქართლის ერისთავ ბეგა II-სა და მის ვაჟთან, რატი სურამელთან.

მიღებული დასკვნის შემდეგ გვერდისუბნის წარწერაში მოხსენიებული ბეგა და რატი სურამელების იდენტიფიკაციისათვის გადამწვევტ მნიშვნელობას, ერთი მხრივ, ბეგა I-ის, მისი ვაჟის რატი სურამელის, ბეგა II-ისა და მისი ვაჟის რატი სურამელის მოღვაწეობის ქრონოლოგიაზე დაკვირვება, ხოლო, მეორე მხრივ, გვერდისუბნის წარწერის პალეოგრაფიული ანალიზის შედეგები იძენს.


დავიწყოთ ბეგა I-ისა და მისი ვაჟის რატი სურამელის წყვილის მოღვაწეობის ქრონოლოგიით. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ ზემოთ, რომ ბეგა I XII საუკუნის შუახანებსა და II ნახევრის, ხოლო რატი სურამელი XII საუკუნის და XIII საუკუნის დასაწყისის მოღვაწეები იყვნენ. შესაბამისად, სრულებით ცხადია ისიც, რომ თუკი ერისთავ რატი სურამელის სახელით შედგენილ გვერდისუბნის წარწერაში ბეგა I და მისი ვაჟი რატი სურამელი არიან მოხსენიებულნი, მაშინ თავად წარწერა უეჭველად ქართლის ერისთავის რატი სურამელის მოღვაწეობის დროით ანუ XII საუკუნის II ნახევრითა და XIII საუკუნის დასაწყისით უნდა დათარიღდეს.

ცოტა უფრო განსხვავებული სურათი გვაქვს ბეგა II-ისა და მისი ვაჟის რატი სურამელის წყვილის მოღვაწეობის ქრონოლოგიასთან დაკავშირებით. დღეისათვის ქართველ მეცნიერებთან მიერ არგუმენტირებულად არის დადგენილი, რომ ერისთავ ბეგა II-ის გარდაცვალების შემდეგ ანუ, დაახლოებით, XIII საუკუნის მიწურულს, ქართლის ერისთავის სახელს მისმა უფროსმა ვაჟმა ჰამადა სურამელმა მიიღო, რომელიც ამ წოდებას, სულ მცირე, 1302 წლამდე მაინც ფლობდა. შესაბამისად, თუკი დავეშვათ, რომ გვერდისუბნის წარწერაში ბეგა II და მისი ვაჟი რატი სურამელი არიან მოხსენიებულნი, გარდა ამისა, დასაშვებად მივიჩნევთ იმის შესაძლებლობას, რომ ამ რატი სურამელმა ქართლის ერისთავის თანამდებობა უფროსი ძმის, ერისთავ ჰამადა სურამელის გარ-



დაცვალების შემდეგ ანუ, ყველაზე უფრო ადრე, XIV საუკუნის I ათწლეულში მიიღო, მაშინ ავტომატურად მივალთ იმ დასკვნამდე, რომ გვერდისუბნის წარწერა, რომელიც ერისთავ რატი სურამელის სახელით არის შედგენილი, ბეგა II-ის ვაჟის რატი სურამელის ერისთავობის საგვარეულო დროით ანუ XIV საუკუნის I მეოთხედით თარიღდება.

მაშასადამე, ერთი მხრივ, ბეგა I-ისა და მისი ვაჟის, რატი სურამელის, ხოლო, მეორე მხრივ, ბეგა II-ისა და მისი ვაჟის რატი სურამელის მოღვაწეობის ქრონოლოგიაზე დაკვირვება აჩვენებს, რომ გვერდისუბნის წარწერა ან XII საუკუნის II ნახევარსა და XIII საუკუნის დასაწყისში ან კიდევ, XIV საუკუნის I მეოთხედში უნდა იყოს შედგენილი.



ამ ბოლო დასკვნის გათვალისწინებით, გვერდისუბნის წარწერის დათარიღება ძალზედ იოლ ამოცანას წარმოადგენს: ამისათვის მხოლოდ წარწერის საფუძვლიანი პალეოგრაფიული ანალიზის ჩატარებაა საჭირო.

გვერდისუბნის წარწერას, პალეოგრაფიული თვალსაზრისით, რამდენიმე ძირითადი თავისებურება ახასიათებს: 1. ტექსტის ყოველი სტრიქონი ორხაზოვანი ბადის მკაცრი დაცვით არის ამოკვეთილი და გრაფემებიც, ორივე გამონაკლისის გარდა, თანაბარი სიმაღლისაა;

2. გრაფემები ერთმანეთისაგან მეტნაკლებად თანაბარი ინტერვალითაა დაშორებული და ერთიმეორეში გადასულ-გადახლართული არ არის; 3. გრაფემებს, ერთი მხრივ, „მკაცრი“, ნაკლებად დეკორატიული მოხაზულობა აქვს, ხოლო, მეორე მხრივ, გაკუთხონების აშკარა ნიშნები არ ახასიათებს; 4. წარწერის წინ, ტექსტის გრაფემებთან შედარებით, ბევრად უფრო დიდი ზომის ჯვარია ამოკვეთილი; და სხვ.

გვერდისუბნის წარწერა, ამ და სხვა პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით, ორგანულ მსგავსებას ამჟღავნებს XII საუკუნის II ნახევრითა და XIII საუკუნის დასაწყისით დათარიღებულ ისეთ ლაპიდარულ ძეგლებთან, როგორიცაა: იჩქით გურგენისძის 1184-1210 წლების სააღმშენებლო წარწერა ვაჰანის ქვაბთა მონასტრიდან, იმავე იჩქით გურგენისძის 1184-1210 წლების სააღმშენებლო წარწერა წუნდის ეკლესიიდან, ანტონ ჭყონდიდელის 1198 წლის სააღმშენებლო წარწერა ვაჰანის ქვაბთა მონასტრიდან და სხვ.

მაშასადამე, გვერდისუბნის წარწერის პალეოგრაფიული ანალიზი აჩვენებს, რომ წარწერა XII საუკუნის II ნახევარსა და XIII საუკუნის დასაწყისს მიეკუთვნება და არა XIV საუკუნის I მეოთხედს. შესაბამისად, საბოლოოდ ირკვევა ისიც, რომ გვერდისუბნის წარწერა ქართლის ერისთავ რატი სურამელის მოღვაწეობის დროს ანუ XII საუკუნის II ნახევარსა და XIII საუკუნის დასაწყისშია შედგენილი და არა რატი II-ის საგვარეულო ერისთავობის დროს ანუ XIV საუკუნის I მეოთხედში.

ამრიგად, ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, დგინდება, რომ გვერდისუბნის წარწერაში მოხსენიებული არიან ცნობილი ისტორიული პირები: XII საუკუნის შუახანებსა და II ნახევარში მოღვაწე ბეგა I სურამელი და მისი ვაჟი, XII საუკუნის II ნახევარში მოღვაწე ქართლის ერისთავი რატი სურამელი.

**გვერდისუბნის წარწერაში მოხსენიებულ ქართლის ერისთავ ბეგა I სურამელთან დაკავშირებული საკითხები**

III. გვერდისუბნის წარწერაში მოხსენიებულ ქართლის ერისთავ ბეგა I სურამელთან დაკავშირებული საკითხები ბეგა I სურამელი ქართული ისტორიოგრაფიისათვის დღემდე ცნობილ სამად სამ წერილობით ძეგლშია მოხსენიებული. თავდაპირველად მოვიტანთ ამ წერილობითი ძეგლების შესაბამის ფრაგმენტებს მათი ქრონოლოგიური თანამიმდევრობის დაცვით.

1. მეფე თამარის (1184-1210) პირველი ისტორიკოსის მიერ XIII საუკუნის დასაწყისში შედგენილი „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთაისი“ ერთი ფრაგმენტი, რომელშიც 1161 წლის ახლოხანებში ქალაქ ანისთან საქართველოს მეფე გიორგი III-სა (1157-1184) და მახლობელი აღმოსავლეთის მუსლიმ მმართველთა კოალიციას შორის გამართული ბრძოლის ამბავია მოთხრობილი:

„[მეფე გიორგი III-ემ] წარმომქმელმან უკანასკნელთა ლოცვათამან მოუწოდა ამირახორსა მისსა სუმბატის ძესა ლიპარიტს, ბეგას სურამელსა (ხაზი, აქაც და ქვემოთაც, ჩვენია – ავტ.), ქირქიშს აბულეთის ძესა და სამ ათასთა მათთანათა, მბრძანებელმან, მუნცა ღიმილითა და სიცილითა მლალბულმან: „მოყმენო, იგიმცა ვსჯობთ, რომელმანცა უმსწრაფლეს უხეთქნეთ დროშის მქონესა და დაცემითა მისითა დაფსკეთ ბანაკი, ნავალისი მასმიეს და კიდარისა შთამოთესულთა“. ესრეთ სასოებით მოქაღულმან განვლნა რაზმნი და სუმპერაზმანი, განწონნა კინენი მსგავსად აფროდისისა, მქონისა წყობისა მამტკიცებელისა. და ვითარ იხილეს დროშა, დაცემული მკლავითა აქილიანითა, და მახვლი იქცევისი მკუეთრ მკუეთელად, იჭმიეს სივლტოლა ძალისაებრ ჰუნეთასა, რომელსა შინა აღესრულა სიტყუა წარქცევად ერთისაგან ათასისა. ამირსპასალართა, დიდებულთა და ლაშქართა, ამათ აქათ და მათ მუნით აღინეს ღუარი სისხლისა“.

ნინო ბერიძის შესახებ ახლობლისგან გავიგეთ. შევიტყვეთ, რომ ის შესანიშნავი დიზაინით აფორმებს ქორწილებს. შემდეგ კი თავადაც აღმოჩნდა ქორწილზე, რომელიც ნინოს მიერ იყო გაფორმებული. სიმაართლე გითხრათ, ძალიან მოვიხიბლეთ ნამუშევრით, ყველაფერი საოცრად გემოვნებიანად იყო გაკეთებული. «ყველა დეტალს ეტყობოდა, რომ ძალიან დიდი შრომა იყო ჩადებული და რა თქმა უნდა ავტორის ნიჭსაც შეამჩნევდით დიზაინში. ყოველივე ამის შემდეგ, გადავწყვიტეთ ნინოს პირადად გავსაუბრებოდი და უფრო მეტი გამეგო მისი საქმიანობის შესახებ.

– ნინო, ძალიან კარგად გამოგდით თქვენი საქმე, პროფესიით ვინ ხართ? – პროფესიით იურისტი ვარ, მაგრამ ჩემი პროფესიით არასოდეს მიმუშავია, თუმცა, იმასაც ვერ წარმოვიდგენდი, რომ ქორწილების დიზაინს გააკეთებდი. ყველაფერი ძალიან სპონტანურად მოხდა.



– და ეს იდეა საიდან წამოვიდა? – სიმაართლე გითხრათ, ძალიან უცნაური სიტუაციაში მოხდა. ახლობლის დაკრძალვაზე უეცრად მომივიდა იდეა, რომ ქორწილები გამეფორმებინა. ეს იყო დაახლოებით 7 წლის წინ და ერთ-ერთი რესტორნის მფლობელს მივეცი ჩემი საკონტაქტო ინფორმაცია, ვუთხარი დამკავშირებოდა, თუკი ვინმეს მოუნდებოდა ქორწილის გაფორმება. თავიდან შეკვეთები ცოტა იყო, შემდეგ კი ნელ-ნელა იმატა. – თქვენი პირველი ჰონორარი რამდენი იყო? თავდაპირველად, ეს სერვისი ცოტა უცხო

იყო ხაშურში და ცოტა სკეპტიკურადაც უყურებდნენ, შესაბამისად, ჰონორარიც ძალიან მიზერული მოვითხოვე – 60 ლარი. ამ თანხაში შედიოდა ხელობის ფულიც და გასაფორმებელი მასალებიც. თანდათანობით მოეწონათ ეს სერვისი, მომხმარებელიც გაჩნდა. თავიდან მარტო ვიყა-

### უცხო პროფესია -- ქორწილების დიზაინერი

ვი ამ საქმეზე და ზოგჯერ იმდენი შეკვეთა მქონდა, რომ ვერც ავუდიოდი. – ეხლა ფასები როგორ მერყეობს?

– დაახლოებით 500-600 ლარამდე. მასში შედის: ნეფე-პატარძლის სუფრის გაფორმება და დარბაზის დიზაინიც. მქონია ასევე 1500 ლარიანი შეკვეთა. მომსახურებაში შედიოდა ნეფე-პატარძლის ბილიკის გაკეთება, ასევე სკამების და მაგიდების დიზაინი. ყველა მაგიდის ყვავილებით გაფორმება. ვიყენებდი ძირითადათ ვარდებს და გლადიოლუსებს. – ხაშურის გარდა ყიდევ თუ გქონიათ სხვა ქალაქებიდან შემოთავაზებები?

– კი, იშვიათად, მაგრამ მქონია შეკვეთები თბილისიდან და გორიდან. გარდა ქორწილების დიზაინის ასევე მაქვს შეკვეთები დაბადების დღეების და ბანკეტების.

– სამომავლო გეგმებზე რას გვეტყვი? – მინდა ცოტა გავაფართოვო ჩემი საქმიანობა. ერთ სივრცეში მინდა მოვაქციო ყველა მომსახურება, ეს იქნება საქორწილო კაბებიც, სალონი და ქორწილის დიზაინიც, თუმცა ეს ჯერ იდეის დონეზეა.

თ. ხახვაცია



20.07.2014

### ტექნიკა, რომელიც გაგაოცებთ



ეს მანქანა სპეციალურადაა კონსტრუირებული გაზისა და ნავთობის ჭაბურღილებზე გაჩენილი ხანძრის ჩასაქრობად. ის შექმნეს რუმინეთში საბჭოთა ტანკის T-34-ის მიხედვით.



ეს ჯაგუნოსანი შეიქმნა ბრიტანელი ინჟინრების მიერ 2000 წელს საბრძოლო ტანკის Challenger 2-ის ბაზაზე და მისი დანიშნულებაა ბუნებრივი და ხელოვნური წინაღობების დაძლევა მოწინააღმდეგის მიერ გასხნილი ცეცხლის დროსაც კი.



მსოფლიოში ყველაზე დიდ სატვირთო მანქანას შეუძლია ერთ ჯერზე აიღოს 75 ტონა ღორღი. მისი 2300 ცხენისძალიანი ძრავა 24 საათის განმავლობაში 4000 ტონა საწვავს წვავს.

### შოთა ბოჭორიშვილი

გარდაიცვალა ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანი, საპატიო რკინიგზელი შოთა ნიკიტორეს ძე ბოჭორიშვილი.

იგი დაიბადა ზესტაფონის რაიონის სოფელ მორე სვორში. მშობლები ადრე გარდაეცვალა და ბიძამ ხაშურში ჩამოიყვანა. 1941 წლიდან დაიწყო შრომითი საქმიანობა სიგნალიზაციისა და კავშირგაბმულობის დისტანციაში. 62 წელი ერთგულად ემსახურა საყვარელ საქმეს. მიღებული ჰქონდა მრავალი ჯილდო. მათ შორის „დიდ სამამულო ომში მამაცური შრომისთვის“ „შრომითი წარჩინებისთვის“, „წარჩინებული მეკავშირე“. 1989 წელს კი საპატიო რკინიგზელის წოდება მიიღო. მასში იყო იგივე სიკეთე, გულისხმიერება, სითბო, რასაც საყვარელ ადამიანებში ხედავდა.



წავიდა ჩვენგან დიდებული პიროვნება, კარგი მეოჯახე, შესანიშნავი ქართველი კაცი, რომლის ხსოვნა დიდხანს დარჩება ჩვენს გულებში. ვეტერანი რკინიგზელები

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი გიორგი გოგალაძე, მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27. E-mail Khashurismoambe 2015@gmail.com საბანკო რეკვიზიტები: სს „ლიბერთი ბანკის“ ხაშურის ფილიალი, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, ბანკის კოდი LBRTGE22, ანგარიში GE80LB0115114434590001. P-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში. რედაქტორი რობერტ სუსიაშვილი.